# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 251. კვირა, 5 სექტემბერი 1904 წ. გაზეთის № 2603

## ატესტატი

(დასასრული) *)

— ყველანი თავისუფალი სიყვარულის მიმდევარნი არიან,—სთქვა ხარხარით კალისტრატემ და განაგრძო:—თინასაც და სონასაც იმიტომ უნდათ კურსებზე წასვლა, რომ თმები გაიკრიჭონ, სათვალეები გაიკეთონ, მოკლე კაბები ჩაიცვან და სტუდენტებს ეკოპწიაონ....

— ოჰ, შენ დაჩუმდი, შენ ისიც არ იცი, რა ნაწილში წახვიდე, სხვას რომ დასცინი,—შეუტია ძმას ლენამ.

— რა შენი საქმეა ლაპარაკში ჩარევა, შე ქალბიჭავ?!—გაუწყრა დედა.

— ყველას რომ თავი დავანებოთ,—განაგრძო მამამ სერიოზულად,—ყველას რომ თავი დავანებოთ, შენ უნდა დაგვეხმარო, შვილო, ეხლა. კალისტრატეს, სულ რომ ცოტა ვსთქვათ, სამი—სამ თუმან ნახევარი დასჭირდება თვეში. საიდან, საიდან უნდა მოვახერხო ეს? შენ ამდენ ხანსაც გვშველოდი გაკვეთილებით, ეხლა კიდევ უფრო შეგიძლია!. მე კიდევაც მოველაპარაკე ნაჩალნიკს...—ის ცოტათი შეჩერდა, მიუწია ბალი კალისტრატეს, თითონაც აიღო და განაგრძო:—კაი თვალით მიყურებს ნაჩალნიკი, ჩემი კაი მწყალობელია. ეხლა ქალებსაც ღებულობენ ტელეგრაფის მოხელეებად.—მე კიდევაც ვსთხოვე და დამპირდა, მივიღებ შენ შვილსო. ენები იცი, მაშინათვე ორმოცდაათ მანეთს ჯამაგირს დაგინიშნავენ, მეოთხე რაზრიადის ტელეგრაფისტად ჩაგრიცხავენ. მე რომ მეექვსე რაზრიადში ვარ, აგერ ოცდაათი წელიწადია ვმსახურობ და სამოცდაათი მანეთის მეტი ჯამაგირი არ მაქვს; შენ ერთ-ორ წელიწადში ჩემზე მეტი გექნება. თუ არ გათხოვდები და იმსახურებ, პენსიასაც დაიმსახურებ მშვენიერს. ორდენებს და ჩინებს აძლევენ ეხლა ქალებსაც ისე, როგორც ჩვენ, მამაკაცებს, და თავი და თავი ისაა, რომ კალისტრატეს მაშინ საკმაო ფულს გაუგზავნით....



ადმირალი ტოგო თავის ჯავშნიან გემ „მიკაზა“-ზე.

მაგიდის ბოლოში ასტყდა საშინელი ხარხარი.

— თინა, ჩინებს მოგცემენ და გამოგატვინებენ, სისხლს გაგიშრობენ,—ხარხარებდა ლენა.

*) იხ. დამატება № 248

— როგორ, ჩინებს, ეპოლეტებს გადააკერებენ მხრებზე?—ხარხარებდა განცვიფრებული, ცრემლ-მორეული გამდელი.

— აჰა, თინა, დაიკერე, აი მამილოს ჩინი!—სწრაფად ამოიღო ჯიბიდან პატარა ნიკომ ოთხკუთხი პატარა ძველი პაგონი და მიურბენინა დას.

თინა აცრემლებულის თვალებით, პირდაღებული შესცქეროდა მამას, შემდეგ ნელა წამოიწია, უცებ ხმაურობით მისწია უკან სკამი, სწრაფად მოტრიალდა და გავარდა ოთახიდან.

ყველამ როგორღაც დაბნეულად შეხედეს ერთმანეთს. ცოტა ყოყმანის შემდეგ ლენაც წამოვარდა და დაედევნა დას.

— რა იყო ეხლა, ველარ მოასწრებდი ამის თქმას?—უსაყვედურა ქმარს თეკლემ.

სიმონი თითონაც გრძნობდა რაღაც უხერხულობას.

— რა. სულ ერთია, დღეს თუ ხვალ ხომ უნდა მეთქვა; მაშ როგორ იქნება ვაჟს, ხომ არ დავტოვებთ სახლში და ქალს არ გავგზავნით...

— უი, დამიდგა თვალი!—ეგ როგორ შეიძლება, ვაჟის დატოვება, მაგრამ...

— მაშ რაღას მისაყვედურებ?—სთქვა სიმონმა, ამოიღო საათი, დახედა და წამოდგა.—ეხლა მე უნდა წავიდე, სთქვა მან:—გუშინ ერთი კაცი ფულს დამპირდა კალისტრატეს ტანისამოსის გამოსასყიდათ. თერძის მოსვლამდი აქ გავჩნდები. შენ რომ იცი, ისიც გამოართვი. სიმონი საჩქაროდ გავიდა ოთახიდან.

— აბა, გამდელო, გუშინ რომ გითხარი, მომიტანე, თუ ქალი ხარ; ოცში ჯამაგირს რომ ავიღებთ, ამასაც და ძველსაც დაგიბრუნებ,—მიმართა თეკლემ მოსამსახურე დედაკაცს.

სკამზე გადაწოლილ კალისტრატეს სქელი თმით დაბურული თავი ოდნავ უკან გადაეწია, ერთი, ხელი ჯიბეში ჩაედო, მეორეთი კი პურის ნამცეცს სრესდა და იღიმებოდა: ეტყობოდა რაღაც აზრი უტრიალებდა თავში და უცდიდა შესაფერ დროს, რომ გამოეთქვა. როცა გაათავა დედამ ლაპარაკი, იმან დაიწყო:

—ქალისთვის სწავლა ისე მეტია, როგორც კუდი; მაგრამ კაბის კუდი კი არა, კაბის კუდი საჭიროა ქალებისათვის, ნამდვილ კუდზე ვამბობ ... ხა-ხა-ხა.... გაიხარხარა მან და დააცხმუკა ცხვირით.

— რაო, რაო, რას ლაპარაკობ?—შემოვარდა გაწითლებული ლენა,—დედილო, დედილო, წადი ამ წუთში თი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



იაპონელები მთაზე მიათრევენ ზარბაზნებს პოზიციის გასამაგრებლად

ნასთან... ტირის, ტირის!—მიუბრუნდა ის დედას აღშფოთებით, უფრო ბრძანების კილოთი. როცა დედა საჩქაროთ ადგა და ფუსფუსით გავიდა, ლენა ისევ მიუბრუნდა ძმას:—ხუთი გიმნაზია და უნივერსიტეტი რომ გაათავო, მაინც ბრიყვი იქნები.

— შენ, ეი, დაიმოკლე ენა, თორემ გცემ, შე ქალბიჭავ; შენ უმჯობესია თავზე თმა მოუშვა და შიგ ჭკუა შეუშვა.

— ისედაც გულ-მოსული ლენა სრულიად მოთმინებიდან გამოიყვანა ძმის სიტყვებმა და გაანჩხლებულმა მიახალა:

— შენ ამბობ ამას, შენ?! თმაც ბევრი გაქვს თავზე, მაგრამ ჭკუა მაინც არ გაქვს შიგ. შენსავით მუქთა-ხორა არ გახლავარ, მე კოკოს ვვარცხნი თავს... ეხლავე გავკრეჭ კოკოს გრძელ თმას... მოიტანე მაკრატელი,—უბძანა იმან მრისხანედ ბავშს და განაგრძო.— მე გამდელს ვეხმარები საქმეებში.. შენ კი შენ წაღებსაც ბებერს აწმენდინებ... არა გრცხვენია, ოთხი წლით უფროსი ხარ თინაზე და თინამ, გამხდარმა თინამ, უნდა იმუშაოს შენთვის, მამილოსავით უნდა იმსახუროს ფოსტაში, კურსებზე ველარ უნდა წავიდეს... და შენ... შენ... დასცინი?.... არა, მოიცა, თუ ბიჭი ხარ, ნუ გარბიხარ...

— შენისთანა გომბიოს რა უნდა ველაპარაკო?— წაილაპარაკა კალისტრატემ და ნელის ნაბიჯით, კბილების ჩხრეკით გავიდა.

— დაჯექი, კოკო; კოკო კი არა,-ნიკო, ნიკო იქნები დღეის იქით, როგორც გამდელი გეძახის. დაჯექი, მომეცი მაკრატელი! აღარ მინდა გვარცხნო თმა, არაა საჭირო... შენ თითონ მოუარე შენ თავს,—ეუბნებოდა ლენა ძმას და ატრიალებდა სკამზე. გრძელი, ხუჭუჭა წაბლისფერი თმის ზილფები ერთი ერთმანეთზე სცვივოდა ძირს იატაკზე.

— ყველანი ამბობდნენ, კოკო ლამაზიაო, მშვენიერი თმები აქვსო... მშვენისო...—სთქვა ბავშმა გაუბედავის ხმით: აიღო ხელში ერთი ზილფი და დაუწყო სინანულით თვალიერება.

— სილამაზე შენთვის საჭირო არაა, ჭკუაა საჭირო ჭკუა...

— ერთი თუმანი მქონდა, თინასთვის კაბის შესაკერავად ვინახავდი: გემნაზიას რომ დაამთავრებს, უყიდი მეთქი, და ეხლა ესეც იმათ უნდა მივსცე. ნუ გეშინია, ჯამაგირს არ მაძლევენ და არაფერს. ოცში მოგცემთ... ამისთანა ოცი ბევრი გამოივლის...—შემოვიდა ბუზღუნით გამდელი და დადვა მაგიდაზე ჩვრებში შეხვეული ფული.—რას ვხედავ ამას,... როგორ შეელია ქალბატონი ნიკოს თმას?—შეჰყვირა განცვიფრებულმა გამდელმა, როცა შეამჩნია ბავშვები.

— დიაღ, შეელია!.. ქალბატონმა არც კი იცის. ჩემით ვკრეჭ, აღარ მინდა ჰქონდეს თმა, სისულელეა თმა. აღარ მინდა სისულელე ვაკეთო!..

— არა, ღვთის წინაშე, მე დიდი ხანია ვამბობ, არც ბიჭია, არც გოგო, არც ხუცესი... ღმერთი ჩემ თინას კაი ქმარს მომასწრობს... ღია პირის ფერ კაბას უყიდი მეთქი... —დაიწყო ისევ ბებერმა.

— ქმარს... კიდევ ამბობ, რომ გიყვარს თინა და რაც მას უნდა ის კი არ იცი! თინას სწავლა უნდა, ექიმობა უნდა. წეღან რომ გეუბნებოდა, ვერ გაიგე?

— რას? ვერ გავიგე, რას მეუბნებოდა?

— რას, და სწავლას რომ დავამთავრებ რუსეთში, მერმე ერთად ვიცხოვრებთო, ექიმი ვიქნებიო.

— როგორ, არ ხუმრობდა?... ექიმი, აი ისე, როგორც ჩვენი მაზრის ექიმი?... დარია თუ ავდარი, მთებში და ღრეებში, შეჯდება ცხენზე და ჩვენ სოფელში ამოვა ვიღაც ოტროველა გლეხის მოსარჩენად?

— ჰო, ჰო, მოსარჩენად. შენ თითონ არ ამბობდი, ერთმა აფხაზის ქალმა ოცდაათი თათარი მოკლა თეთრ ცხენზე შემჯდარმაო. მეც წავიკითხე წიგნში ერთი მეომარი ფრანგი ქალის ამბავი...

— გაჭირვებაში სხვაა... თათრების მოკვლა მადლია...

— არა, შენ იგი მითხარი, თათრების მოსაკვლავად თუ კი მოახტება ცხენს ქალი დარში და ავდარში, კაცის მოსარჩენად რატომ არ შეიძლება მოახტეს, რატომ?

— არ ვიცი, შვილო, არ ვიცი: რა ვიცი? დავბერდი, თორემ რატომ არ შეიძლება.... ჩემი თინა...—სთქვა ბებერმა დაფიქრებით,—გაგზარდა ღმერთმა, ეს ყმაწვილი რომ ბავშვს დაამსგასვე... მაშ გათხოვება არ უნდა თინას... ექიმობა უნდააა?... მე ხუმრობდა მეგონა... ღმერთო დამიფარე, რას მოვესწარი...—ბებერმა გადაიწერა პირჯვარი, ნელად ადგა და დაიწყო სუფრის ალაგება.

— ნამდვილი ბიჭი ვარ ეხლა, ნამდვილი, ურაა!.—წამოვარდა თავგაკრეჭილი პატარა ნიკო სკამიდან და დაიწყო ხტუნაობა.

— გამდელო, გამდელო, თერძი მოვიდა, ტანისამოსი მოიტანა; შეიყვანე კალისტრატეს ოთახში: უთხარი, დაიცადოს, ეხლავე მოვა ბატონი თქო. შენ რა ქენი ფულისა, მოიტანე?—შემოვიდა ფუს-ფუსით თეკლე და მოუსვენრად მიიხედ-მოიხედა.

გემდელმა მიაწოდა მჩვრებში შეხვეული ფული.

— თინასთვის ვაგროვებდი..,—დაიწყო იმან, მაგრამ გააქნია ხელები და გასწია კარებისაკენ.

— ვუი, დამიდგა თვალები!—რა გიქნია, ბიჭო, თმები?—შეჰკივლა დედამ.— შენ, შენ ქენი ეს, ლენა, შე აშარო, იმიტომ რომ თინა არ მიდის რუსეთში?...

— დიაღ, დიაღ, მე, დედილო, სწორედ იმიტომ... ვინც ჭკვიანია...

— თუ იმიტომ და, მე შენ გაჩვენებ, შე ალქაჯო, შე ცუღლუტო... როგორ დაასახიჩრა ბავშვი; სურათის გადაღება მინდოდა.—გაანჩხლებული დედა მივარდა ლენას, წაავლო ცალი ხელი ყურში და მეორეთი დაუწყო ცემა სადაც მოხდებოდა, თანაც გაწიწმატებული განაგრძობდა ტუქსვას:—შე ქალბიჭავ, შე აშარო, მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა დედის



იაპონელთა ბანაკი.— ბრძოლა გაიჩოუსთან, წვიმის დროს.

ურჩობა?.. სურათის გადაღება მაინც გეცლია, შენ არ-დასაცალებელო...—ვუი შენ გენაცვალე, შვილო, ჩემო სტუდენტო!—შეჰკივლა უცებ თეკლემ და გაუშვა ხელი ლენას. კარებში გამოჩნდა სტუდენტის ფორმაში გამოწყობილი კალისტრატე. ხელები ჯიბეში ჩაეწყო და ილიმებოდა.

— აბა მშვიდობით, მივდივარ, დღეს ნუღარ მელოდებით გათენებამდის... ვქეიფობთ!—სთქვა სტუდენტმა, ოდნავ ასწია თავის კეფაზე პაწია კოხტა ქუდი და მოტრიალდა.

— შენ გენაცვალოს დედა, სტუდენტი შვილი მომესწრო! ჩემი სტუდენტი, ჩემი სტუდენტი! იმეორებდა გახარებული დედა და მისდევდა მიმავალ შვილს; მოგეცადა, შვილო, მამაშენიც გნახავდა გაიხარებდა: ეხლავე მოვა.

— ხვალ, ხვალ,—გაიქნია ხელი კალისტრატემ და სირბილით დაეშვა კიბეზე

დედა დიდ ხანს იდგა კიბის თავზე და გასცქეროდა „თავის სტუდენტს“ ბედნიერის ამაყურის გამომეტყველებით, სანამ ის არ მოეფარა ქუჩის მოსახვევში სახლებს და არ მიიმალა თვალთაგან.

ნინო ნაკაშიძე.

---

## სხვა და სხვა ამბები

**სამართლიანი მოსამართლე.** ქალაქ. ლუკას (იტალიაში) მოსამართლემ ბ-ნმა პოლა დი-ტორინომ თავისის სამართლიანობით მთელი იტალია აალაპარაკა. ზნეობის დამცველმა აგენტებმა ერთი მეძავი ქალი მოუყვანეს—ქუჩაში გამვლელ-გამომვლელთ თვალს უშვრებოდაო; მოგვგვარეთ და გაასამართლეო. მოსამართლემ ქალი გაამართლა. აი მისი მოსაზრებაც: „რად უნდა დავსაჯო ეს საცოდავი ქალი? იმიტომ რომ გამვლელ-გამომვლელთ მოსახიბლავად უღიმოდა და თვალებს უშვრებოდა? კარგი და რატომ არ მომიყვანენ გასასამართლებლად იმ გათხოვილ და გასათხოვარ ქალებსაც, რომელნიც სალონებსა, თეატრებსა და სხვა საჯარო ადგილებში მეტად უხვად უშვრებიან თვალებსა და უღიმიან კაცებს? მაშ რატომ არ მომიყვანენ იმ გარყვნილ ვაჟბატონებს, რომლებიც, უსაქმურობისა გამო, ქალებს უღიმიან და სცდილობენ მათ მოხიბვლას? სამართალი ყველასათვის სწორი უნდა იყოს: სამართლის სახელით არ უნდა დაისაჯნენ საწყალი ქალები, რომელნიც სიღარიბის გამო შვრებიან იმასა, რასაც მდიდარი ქალები უსაქმურობისა ან ბიწიერების მიზეზით სჩადიან“.

***

**ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა.** დანიელებმა საუცხოვო საშუალება აღმოაჩინეს ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საფრანგეთში სასამართლო ლოთს ახდევინებს ჯარიმას ლოთობისათვის, დანიაში კი სულ სხვანაირადაა საქმე მოგვარებული. როცა ქუჩაში მთვრალს კაცს დაინახავენ, ეტლში ჩასვამენ და თავისს სახლში წაიყვანენ. თუ კაცი, ვინიცობაა, ისე გალეშილია მაგარ სასმელით, რომ თავ-ტანისა არა გაეგება-რა და ვერ მოუგონებია თავისი ბინა, მაშინ პოლიციაში მიჰყავთ. აქ მანამდე გააჩერებენ, სანამ ცოტათი გამოფხიზლდებოდეს, რომ შინ მიყვანა შეიძლებოდეს. ყოველივე ეს მუქთია. წაყვან-წამოყვანის ხარჯს იმ მიკიტანს ახდევინებენ, რომლის დუქანში უკანასკნელად დაალევინეს ლოთს. თუ მიკიტანი უარზე დადგა და ნებით არ გადაიხადა ხარჯი, აჯარიმებენ. თუ მეორეჯერაც დააჯარიმეს, დუქანსაც მიუკეტავენ.

***

**ვაი მექუდეთა ბრალი!** ლონდონში დიდი ბრძოლა გაუმართეს... ქუდებს. ამ ბრძოლის მეთაურნი თავგამოდებით უმტკიცებენ ყველას, რომ ქუდის ტარება იმდენადვე მავნებელია კაცისათვის, რამდენად კორსეტის ტარება ქალთათვის არის მავნებელიო. ამჟამად ლონდონის ქუჩებში ამ მოდის მიმდევარნი ჯენტლმენები უქუდოდ დაკოხტაობენ. სასაცილოა ყოველისავე ამის ყურება. ახლა პარიზშიაც ელიან ამ მოდას. მაგრამ ეჭვი აქვთ, რომ პარიზში მიმდევარნი აღმოუჩნდნენ, ისიც იმ დროს, როცა საფრანგეთის დედა-ქალაქში კაცებს კი არა ცხენებსაც კი ქუდები ჰხურავთ.

***

**უზარ-მაზარი საათი.** სენ-ლუის (ამერიკაში) მსოფლიო გამოფენაზე საერთო ყურადღებას იპყრობს უზარ-მაზარი საათი, რო-

მეღსაც საათი-მამონტი დაარქვეს. ამ საათს სიმაღლე 23 მეტრი აქვს, სიმრგვლე—38 მეტრი; საწუთე ისარი რვისა და $3/4$ მეტრის სიგრძისაა, ხოლო დიდი რესორი 997 კილოგრამს იწონის და 52 სანტიმეტრის სისქისაა. კვირაში ორჯელ ერთი ორთქლის მანქანა, განგებ ამისთვის მოწყობილი, საათს მართავს. საათს შიგნით ორი კიბეა და ცნობის მოყვარეს შეუძლია ავიდეს და დაათვალიეროს ამ ბაყბაყ მდევ-საათის თვლები.

## ქალაქის წყლის კრანთან



წარმოიდგინეთ, მთელი ეს ჩხუბი და ალიაქოთი ერთი ვედრა წყლის საშოვრადაა ატეხილი!!...



თფილისელი ხუნხუზები.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

Доз. цен. Тифлисъ, 3 Сентября 1904 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის ხრამბა წიგ. გამომ. ამხ—ისა